სოილი პერკიო (ჰელსინკი 1958 წელი)

მუსიკის სწავლებას, ფორტეპიანოსა და ვოკალის ხელოვნებას სიბელიუსის აკადემიაში (ჰელსინკი) დაეუფლა, ხოლო მაგისტრატურაში სწავლა ცეკვისა და მუსიკის სწავლების მიმართულებით კარლ ორფის ინსტიტუტის ზალცბურგის მოცარტეუმის უნივერსიტეტში გააგრძელა. მისი სპეციალიზაციაა მუსიკა და განვითარება, ფოლკლორული მუსიკა და ადრეული ბავშვობის ასაკში მუსიკალური განათლება. 1995 წლიდან სოილი ჰელსინკის სიბელიუსის აკადემიის მუსიკალური განათლების დეპარტამენტის ლექტორია. მას მსოფლიოს ყველა კონტინენტზე აქვს ჩატარებული საგანმანათლებლო კონფერენციები. სოილი მუშაობდა ფინეთის სამაუწყებლო კომპანიაში და ამზადებდა სატელევიზიო და რადიო პროგრამებს ბევშვებისთვის. იგი აგრძელებს კონცერტების გამართვას სკოლებსა და ბაღებში, სადაც წარმოადგენს ფინურ ხალხურ ინსტრუმენტებს. იგი ქმნის მუსიკას ცეკვის ჯგუფებისა და თეატრალური წარმოდგენებისათვის, ავტორია საბავშვო სიმღერების. სოილის დაწერილი აქვს 70-ზე მეტი მუსიკალური წიგნი და აუდიო-მასალა ზოგადი მუსიკალური განათლების, დაწყებითი სკოლისა და ადრეული ასაკის ბავშვებისათვის მუსიკალური განათლების შესახებ.